ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183164159**
თარიღი: **12/11/2018**
პინი: **2915**

ადრესატი: შპს თბილისი ჰაუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404957230
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზ., I კვ., კორპ. № ნა, ბ. № 32

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01182471262-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ს-10/01182471262-17
"12" 11 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №76-ში (საკ. კოდი №01.10.14.022.007) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინინაი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1809356 31.03.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი-საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №76-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე კედლების ნაწილი დაფერილია განსხვავებულ ფერში. დამატებულია კონდიციონერები, წყლის გამაცხელებელი კარადები და გამწოვი მილები. შეცვლილია ლითონის მოაჯირების ნახატი. „ა-ზ" და „ზ-ა" ფასადებზე +29.70 ნიშნულზე შეცვლილია ფაჯრების და კარებების ნახატი. შეცვლილია გადახურვის მასალა და ნაწილობრივ გადახურვებთან კაპიტალური კედლების ფორმა.

„ა-ზ" ფასადი: შენობის ძირში „ა" ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის ფორმა. „დ-ზ" მონაკვეთში გაზრდილია კარის ღიობის სიგანე. „ზ" ღერძთან სართულებზე შეცვლილია ფანჯრების სიმაღლე. +29.70 ნიშნულზე „დ-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია ფრანგული მოაჯირი.

„ზ-ა" ფასადი: შენობის ძირში „ე-გ" მონაკვეთში შეცვლილია კიბის გაბარიტი და გაუქმებულია მოაჯირები. +26.30 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და გაბარიტი, რის გამოც შეცვლილია აივნის გაბარიტი.

„1-6" ფასადი: შენობის ძირში დამატებულია გამწოვი მილი. „5-6" მონაკვეთში შეცვლილია წყალშემკრები მილის ფორმა.

„6-1" ფასადი: შენობის ძირში „6-5" მონაკვეთში ფანჯარაში დამატებულია შუაკედლისი. „3-1" მონაკვეთში დამატებულია მოაჯირები.

შენობის შიგნით გაზრდილია რიგელების რაოდენობა. ±0.00 ნიშნულზე „დ" ღერძზე სადარბაზოსთან დამატებულია კარი. „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია ორი კოლონა. +26.40 ნიშნულზე აივნებზე შემცირებულია კაპიტალური კედლების სიმაღლე და გაზრდილია რაოდენობა. +29.70 ნიშნულზე გაზრდილია აივნების სიგანე, ამავე ნიშნულის ზემოთ გაზრდილია გადახურვის კეხის და ქანობების სიმაღლე. +32.50 ნიშნულზე შეცვლილია ლიფტის სამანქანოს გაბარიტი, აღნისნულ სამანქანოში შეცვლილია კიბის ღიობის სიგრძე.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის

პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „თბილისი ჰაუსი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №76-ში (საკ. კოდი №01.10.14.022.007) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინინაი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01182471262-17 04.09.2018წ. განცხადება.
№წ-10/01182471262-17 05.09.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე